ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7738514

ნომერი: AR11120118

თარიღი : 03.12.2025

გაცემის თარიღი : 11.12.2025

გაცნობის თარიღი : 13.01.2026

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, იუნკერ შალვა ერისთავის I ჩიხი, N 3;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი გუგეშაშვილი პ/ნ 01026003677
- თბილისი, სვიმონ ჩიქოვანის #2

ნომენკლატურა :

- საწყობი
- II კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ვიქტორია სექიურითი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205119762
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გიორგი გუგეშაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01026003677

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 2558.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 244.0
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 1171.3

- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 1024.9
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 146.4
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 4.8
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 4.2
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.6

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება, პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1. მოთხოვნის ტექსტურ ნაწილში განიმარტოს ინფორმაცია საკადასტრო გეგმაზე არსებული რომელი შენობის დემონტაჟია დაგეგმილი.

- მოგახსენებთ რომ 01/1 შენობა, წარმოადგენს მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე (N 01.13.02.001.110) არსებულ შენობის ნაწილს (შენობა მოქცეულია ერთი სახურავის ქვეშ), შესაბამისად შენობის ნაწილობრივი დემონტაჟი, წარმოადგენს შენობის რეკონსტრუქციას.

2. დემონტაჟის ორგანიზების პროექტი დამატებით უნდა მოიცავდეს სამშენებლო გენ-გეგმას.
3. წარმოსადგენია საინფორმაციო დაფა – ბანერის ამსახველი ფოტოსურათები შორი და ახლო ხედებიდან. საინფორმაციო დაფა უნდა დამაგრდეს საზოგადოებრივი სივრცეებიდან აღქმად, თვალსაჩინო ადგილზე და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მე-19-ე მუხლის, მე-2 და მე-3, ქვეპუნქტების შესაბამისად აუცილებლად უნდა მოიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

ა) მშენებლობის ნებართვის მაძიებლის საკონტაქტო ინფორმაციას;
ბ) მიწის ნაკვეთის მისამართს;
გ) მშენებლობის სახეობას და შენობა-ნაგებობის ფუნქციურ დანიშნულებას;
დ) მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელებას/მისამართს და განაცხადის განხილვის ვადებს;
ე) შენობა-ნაგებობის დაზუსტებულ სართულიანობას ან/და გაბარიტებს.

საინფორმაციო დაფაზე უნდა განთავსდეს მხოლოდ ამ მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია და დაუშვებელია მისი სარეკლამო მიზნებისათვის გამოყენება.

3. წარმოსადგენია მომიჯნავე შენობა-ნაგებობაზე დემონტაჟის სამუშაოების ზეგავლენის კვლევა.

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე.
მოცემულ ვადაში განახლებული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.
იმ შემთხვევაში, თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება სამსახური უფლებამოსილია აღნიშნული განაცხადი დატოვოს განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.